საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 556

29 07 2015 წ.

ქ. თბილისი

„ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის მიმართვის ფორმისა და მისი განხილვის წესის განსაზღვრის შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 7 მარტის №112 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 7 მარტის №112 ბრძანებაში და:

ა) მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატება - ჩარჩოში ახალი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ასახვა ახალი კოდით.

2. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შეცვლა - მიმართულების, დარგის/სპეციალობის,

ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დასახელების ცვლილება, მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის გადანაცვლება მიმართულებას ან/და დარგს შორის, მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩანაცვლება ახალი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციით:

ა) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დასახელების ცვლილება - ცვლილება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა (სწავლის შედეგებისა) და კოდის ცვლილების გარეშე;

ბ) პროფესიული სპეციალიზაციის დასახელების ცვლილება - ცვლილება შესაბამისი პროფესიული სტანდარტის შინაარსისა და კოდის ცვლილების გარეშე;

გ) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის გადანაცვლება - მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის გადანაცვლება მიმართულებას ან/და დარგს შორის, რაც გამოიხატება კოდის ცვლილებაში;

დ) პროფესიული სპეციალიზაციის გადანაცვლება - პროფესიული სპეციალიზაციის გადანაცვლება მიმართულებას ან/და დარგს შორის, რაც გამოიხატება კოდის ცვლილებაში;

ე) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ჩანაცვლება ახალი მიმართულებით, დარგის/სპეციალობით, ქვედარგის/სპეციალიზაციით - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის (სწავლის შედეგების) ცვლილება კოდის ცვლილების გარეშე;

ვ) პროფესიული სპეციალიზაციის ჩანაცვლება ახალი პროფესიული სპეციალიზაციით - შესაბამისი პროფესიული სტანდარტის შინაარსის ცვლილება კოდის ცვლილების გარეშე;

3. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ამოღება - ჩარჩოში არსებული მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის გაუქმება.

მუხლი 3. ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების შესახებ განცხადების წარდგენა

1. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების შესახებ განცხადება მიიღება წელიწადში ორჯერ. მიმართვის ვადები დგინდება ყოველწლიურად ცენტრის დირექტორის მიერ.

2. განმცხადებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების შესახებ განცხადებას წარადგენს ცენტრში ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ის ფორმის შესაბამისად.

3. განცხადებას უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ფიზიკური პირის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში - მისი ავტობიოგრაფია და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) იურიდიული პირის მიერ (გარდა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებისა) განცხადების წარდგენის შემთხვევაში - იურიდიული პირის საქმიანობის მოკლე აღწერილობა და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში - უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება, ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისი ფორმის განცხადების წარდგენის თაობაზე.

4. განცხადების წარმდგენმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, განცხადების გარდა, ცენტრში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგალითად, შეხვედრის ოქმი/ოქმები, გამოკითხვები, საერთაშორისო შეთანხმება/მემორანდუმი და სხვა;

ბ) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატებისა და ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში:

ბ.ა) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის აღწერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში" წარმოდგენილი კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული განათლების ცალკეული საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები ექვსი კრიტერიუმის მიხედვით და დასაქმების სფეროს მოკლე აღწერა;

ბ.ბ) საქართველოს შრომის ბაზარზე მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის საჭიროების დასაბუთება;

ბ.გ) საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, ეროვნული კვალიფიკაციების თავსებადობისა და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნიდან გამომდინარე, უნდა მოიცავდეს მიმოხილვას მიმართულებასთან, დარგის/სპეციალობასთან, ქვედარგის/სპეციალიზაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, კერძოდ, განათლების რომელი მიმართულება, დარგის/სპეციალობა, ქვედარგის/სპეციალიზაციაა, განათლების რომელ საფეხურზე ხდება კადრების მომზადება, როგორ არის ფორმულირებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რა სამომავლო ტენდენციები შეინიშნება ამ მიმართულებით;

ბ.დ) ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების წერილობითი თანხმობა ახალი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატება/შეცვლისას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ.

გ) პროფესიული სპეციალიზაციის დამატებისას და ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში:

გ.ა) „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებული პროფესიული სტანდარტის პროექტი;

გ.ბ) საქართველოს შრომის ბაზარზე პროფესიული სპეციალიზაციის საჭიროების დასაბუთება;

გ.გ) საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, ეროვნული კვალიფიკაციების თავსებადობისა და პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნიდან გამომდინარე, უნდა მოიცავდეს მიმოხილვას პროფესიულ სპეციალიზაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, კერძოდ, განათლების რომელ მიმართულებას განეკუთვნება წარმოდგენილი პროფესიული სპეციალიზაცია, განათლების რომელ საფეხურზე ხდება კადრების მომზადება, როგორ არის ფორმულირებული მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, რა სამომავლო ტენდენციები შეინიშნება ამ მიმართულებით;

გ.დ) ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების წერილობითი თანხმობა ახალი პროფესიული სპეციალიზაციის დამატება/შეცვლისას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ.

დ) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების დროს განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ყველა დაინტერესებული მხარის არგუმენტირებული მოსაზრება ამ

ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ის ფორმის შესაბამისად, მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატებასთან, შეცვლასთან ან ამოღებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი ადგენს შესაბამისობას განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, განმცხადებელს განუსაზღვრავს არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ცენტრი წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას.

2. განმცხადებლის მიერ მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ამოღების, ასევე ამ წესის მე - 2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ"-„ვ" ქვეპუნქტებში მითითებული ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრი მიმართავს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ განცხადებაში მითითებული მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მოსაზრებების წარმოსადგენად. აღნიშნულ ვადაში მოსაზრებების წარმოუდგენლობა არ აბრკოლებს გადაწყვეტილების მიღებას.

3. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა შეადგენს 6 თვეს.

4. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების/შეცვლის/ამოღების საკითხთან დაკავშირებით ცენტრის მიერ ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში განსაზღვრული პირები მოიწვევიან 7 დღით ადრე.

5. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების შემთხვევაში, ცენტრი მოიწვევს: განმცხადებელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელს, დამსაქმებელს, დარგის სპეციალისტს, დარგობრივი პროფესიული გაერთიანებების/ასოციაციების/კავშირების წარმომადგენლებს, საჭიროების შემთხვევაში, მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცენტრს შეუძლია მოიწვიოს სხვა კომპეტენტური პირებიც.

6. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შეცვლის ან ამოღების დროს ცენტრი მოიწვევს: განმცხადებელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელს, დამსაქმებელს, დარგის სპეციალისტს, დარგობრივი პროფესიული გაერთიანებების/ასოციაციების/კავშირების წარმომადგენლებს, შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, საჭიროების შემთხვევაში, მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცენტრს შეუძლია მოიწვიოს სხვა კომპეტენტური პირებიც.

7. მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების/შეცვლის/ამოღების განმხილველი სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მოწვეულ პირთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ის მიერ. ცენტრის მიერ მოწვეულ პირთა წარმომადგენელს აქვს ერთი ხმის უფლება. ცენტრის წარმომადგენელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ სარგებლობს ხმის უფლებით. მას აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში.

8. სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის ფუნქციას ასრულებენ ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული ცენტრის თანამშრომლები. სხდომის შედეგები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე პირები, სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

9. საკითხის განხილვის შედეგად მიიღება ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) თანხმობა მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების/შეცვლის/ამოღების თაობაზე;

ბ) უარი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების/შეცვლის/ამოღების თაობაზე.

10. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დასამტკიცებლად წარედგინება ბრძანების პროექტი ჩარჩოში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

11. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ცენტრი განმცხადებელს წერილობით აცნობებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

12. პროცესის გამჭვირვალობისა და დაინტერესებულ პირთა ჩართულების უზრუნველსაყოფად ცენტრი ვებგვერდზე განათავსებს ინფორმაციას:

ა) მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების/შეცვლის/ამოღების შესახებ სხდომის მოწვევის თაობაზე;

ბ) სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

13. ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტანდარტი არის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში პროფესიული სპეციალიზაციების დამატების/შეცვლის/ამოღების საფუძველი. ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლების მოთხოვნები არ ვრცელდება ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიულ სტანდარტების საფუძველზე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში პროფესიული სპეციალიზაციების დამატების/შეცვლის/ამოღების შემთხვევაზე.

14. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

დირექტორი გიორგი შარვაშიძე

შემსრულებელი:

სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორი

თარიღი:/28.07.15/----------/ქეთევან ჭუჭულაშვილი/

შეთანხმებულია:

იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

თარიღი:/28.07.15./----------/ნინო ბეგიაშვილი/

კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსი

თარიღი:/28.07.15/----------/ნინო ბერელიძე/

დირექტორის მოადგილე

თარიღი:/28.07.2015/----------/თამარ ზაალიშვილი/

ხელმოწერის თარიღი : /29.07.2015/